

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციის
მიერ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში გაწეული საქმიანობის
ანგარიში

ქუთაისი
2015 წელი

მიმდინარე წელს სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობდა საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით, რამაც მნიშვნელოვანი შედეგები მოგვიტანა. განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება [კიუავსკო–პომორსკის \(პოლონეთი\) სავოევოდოსთან](#). ეს რეგიონი სიდიდით მეექვსეა პოლონეთში და ცნობილია თავისი წარმატებებით განათლებისა და მრეწველობის სფეროში. წელს განხორციელდა პირველი ერთობლივი პროექტი "პარტნიორობა დემოკრატიული განვითარებისათვის Inter-EKiP 2015", რომელიც დაფინანსებული იქნა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ და მიზნად ისახავდა რეგიონებს შორის გამოცდილების გაზიარებას სოციალური, სოფლის მეურნეობისა და განათლების სფეროებში. პროექტის ფარგლებში იმერეთის მუნიციპალიტეტებიდან სხვადასხვა სფეროს 15 წარმომადგენელი, 3 სამუშაო ვიზიტის ფარგლებში იმყოფებოდა პოლონეთში. ვიზიტების დროს, გარდა თემატური შეხვედრებისა, ასევე გაიმართა შეხვედრები კიუავსკო–პომორსკის სავოევოდოს სხვადასხვა პოვიატებისა და გმინების ხელმძღვანელებთან, რის შედეგადაც გადაწყდა წყალტუბოსა და ბაღდათის მუნიციპალიტეტების პოლონურ მხარესთან დამეგობრების საკითხი. ამავე პროექტის ფარგლებში განხორციელდა ქუთაისის უნივერსიტეტების ხელმძღვანელების ვიზიტი ტორუნის კოპერნიკის უნივერსიტეტში, რომელიც ერთ–ერთი გამორჩეული და მოწინავე ევროპული საგანმანათლებლო ცენტრია. მიღწეულია შეთანხმება ევროკავშირის საგრანტო კონკურსში ["ERASMUS+"](#) ერთობლივი პროექტის წარდგენის თაობაზე, რომელშიც ასევე ჩართული იქნებიან გრაცის, სანტიაგოსა და სალონიკის უნივერსიტეტები. უნდა აღინიშნოს, რომ მარშალის ადმინისტრაციის შენობაში, პოლონურმა მხარემ სრულიად უფასოდ გამოგვიყო ელექტრონული საინფორმაციო დაფა (სკრინი), სადაც დღესაც უჩვენებენ საპრეზენტაციო ვიდეო რგოლებს იმერეთის შესახებ.

კიუავსკო–პომორსკის სავოევოდოს მარშალის, პიოტრ ცოვბესკის, მოწვევითა და დაფინანსებით, მიმდინარე წლის ივნისის თვეში 18 წარჩინებული ახალგაზრდა იმერეთის მუნიციპალიტეტებიდან 2 კვირიანი შემეცნებით–სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა ქალაქ ტორუნში. აღნიშნული პროექტის მიზანი იყო ქართველი ახალგაზრდებისათვის პოლონეთისა და პოლონელი ხალხის, ზოგადად ევროპის ისტორიისა და დღევანდელი გაცნობა, ახალგაზრდების დამეგობრება და სამომავლო პროექტებზე მუშაობა. ვიზიტმა წარმატებით ჩაიარა, რასაც მეტყველებს ახალგაზრდების შთაბეჭდილებები და გამოხმაურებები.

მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში, ბრიუსელში გაიმართა რეგიონებისა და ქალაქების ევროპული კვირეული ([Open Days](#)), რომელშიც პოლონელი მეგობრების მოწვევით სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე და გუბერნატორის მოადგილე იოსებ ხახალეიშვილი. ვიზიტის დროს გაიმართა გუბერნატორისა და მარშალის შეხვედრა, რომლის დროსაც

დეტალურად იქნა განხილული ერთობლივი სამომავლო პროექტები და აქტივობები. იმერეთის დელეგაცია ასევე დაესწრო "[RegioStars](#)" დაჯილდოების ცერემონიას, სადაც ერთ-ერთი ნომინანტი კიუავსკო-პომორსკის სავოევოდოს მიერ განხორციელებული "[ტორუნის ტექნოლოგიური პარკი](#)"-ს პროექტი იყო. ვიზიტის დასასრულს ევროკავშირში პოლონეთის მუდმივი წარმომადგენლის ოფისში კიუავსკო-პომორსკის სავოევოდოს მარშალის სახელით გაიმართა ოფიციალური მიღება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მაღალი რანგის წარმომადგენლებმა, ასევე ევროკავშირში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ნატალია საბანაძემ. საზოგადოებას სიტყვით მიმართა სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა გივი ჭიჭინაძემ. უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალურ მიღებაზე წარმოდგენილი იყო "კახეთის ტრადიციული მეღვინეობის" მიერ დამზადებული ქართული ღვინო, რომელიც იმერეთის ადმინისტრაციამ საჩუქრად გადასცა კიუავსკო-პომორსკის სავოევოდოს.

ორ რეგიონს შორის წარმატებული ურთიერთობების კიდევ ერთი მაგალითია მიმდინარე წლის 11 ნოემბერს, პოლონეთის დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გამართულ საზეიმო ღონისძიებებში ანსამბლ "ქართული ხმები"-ს მონაწილეობა. ტორუნში, კოპერნიკის უნივერსიტეტის დარბაზში გაიმართა აღნიშნული დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელსაც უაღრესად პოზიტიური გამოხმაურება მოყვა პოლონელი მსმენელის მხრიდან.

აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის ფორუმის ფარგლებში, ქუთაისში სტუმრად იმყოფებოდა ჩინეთის დელეგაცია სიძიანის პროვინციის გუბერნატორის შოხრატ ზაჰირის ხელმძღვანელობით. ვიზიტის დროს შედგა ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ოფიციალური გახსნის ცერემონია. გაიმართა შეხვედრა გუბერნატორებს შორის, სადაც საუბარი შეეხო რეგიონებს შორის თანამშრომლობისა და საქართველოში ჩინური ინვესტიციების განხორციელების საკითხს. სიძიანის პროვინციის გუბერნატორმა იმერეთის გუბერნატორი ოფიციალური ვიზიტით მიიწვია ჩინეთში.

3-4 დეკემბერს ლატვიის ქალაქ იაუნპილსში, ადგილობრივ თვითმმართველობათა აღმასრულებელი დირექტორების ასოციაციის წლიური შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა, სადაც სტუმრის სტატუსით მონაწილეობას ღებულობდა იმერეთის მხარის დელეგაცია გუბერნატორის მოადგილის იოსებ ხახალაიშვილის ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში ასევე, შედიოდნენ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელი კონსტანტინე მამისეიშვილი და საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელი მალხაზ ბაზაძე.

ვიზიტის ძირითად მიზანს ლატვიის თვითმმართველობების წარმომადგენლებისათვის იმერეთში მიმდინარე პროექტებისა და აქტივობების გაცნობა, მუნიციპალიტეტებს შორის დამეგობრებისა და თანამშრომლობის

საკითხების განხილვა წარმოადგენდა. შეხვედრაზე იმერეთის რეგიონში და ზოგადად, ქვეყანაში არსებული წინსვლებისა და გამოწვევების, სამომავლო გეგმების შესახებ პრეზენტაცია იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის მოადგილემ იოსებ ხახალეიშვილმა გააკეთა.

ვიზიტის დროს ლატვიის მუნიციპალიტეტების - იურმალას, ვეკუმნიეკის, სალდუსის და ტუკუმის ხელმძღვანელებმა იმერეთის მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის შესახებ მზაობა გამოხატეს, რაც ქართული მხარის მიერ ასევე მხარდაჭერილ იქნა. ასევე შედგა საუბარი ლატვიის რეგიონი ვიდზემესა და იმერეთს შორის დამეგობრებაზე. შეხვედრაზე 2016 წელს იმერეთში ლატვიის თვითმმართველობათა აღმასრულებელი დირექტორების ასოციაციის დელეგაციის ვიზიტც დაიგეგმა, რაც მუნიციპალიტეტების დაახლოებასა და ურთიერთთანამშრომლობას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

აღნიშნული ვიზიტების პარალელურად ხორციელდებოდა სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციების, საქართველოში აკრედიტებული დიპ.კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების ვიზიტები იმერეთში. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ პოლტავაში (უკრაინა) ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელისა და ბავშვთა ანსამბლ "არაბესკი"-ს ვიზიტი. სამხარეო ადმინისტრაციის თაოსნობით უკრაინელი ბავშვები, ქართველ თანატოლებთან ერთად, 10 დღის განმავლობაში ისვენებდნენ შავი ზღვის სანაპიროზე ორგანიზებულ ბანაკში. საომარ მდგომარეობაში მყოფი მეგობარი ქვეყნის ბავშვებისათვის გაწეულმა ასეთმა თანადგომამ პოლტაველების აღტაცება გამოიწვია, რასაც მოწმობს კიდევ პოლტავის გუბერნატორის ვალერი გოლოვკოს მიერ სახელმწიფო რწმუნებული–გუბერნატორი გივი ჭიჭინაძეს სახელზე გამოგზავნილი სამადლობელი წერილი და პოლტავის ტელევიზიის მიერ მომზადებული სიუჟეტი.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით აქტიურად საქმიანობს ქუთაისის, წყალტუბოს, საჩხერისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტები. განსაკუთრების აღნიშვნას იმსახურებს ქალაქ სომბათჰეის (რუმინეთი) და ქალაქ ნანჩანგის (ჩინეთი) დელეგაციების ვიზიტები ქუთაისში. ასევე ქალაქ ტჩევის (პოლონეთი) და ქალაქ პოლოცკის (ბელორუსი) ვიზიტები შესაბამისად ზესტაფონისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში. სამხარეო ადმინისტრაცია, თავის მხრივ მაქსიმალურად ცდილობს ვიზიტების დროს დელეგაციის შემადგენლობა იმერეთის მუნიციპალიტეტების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებით იყოს დაკომპლექტებული, რაც მნიშვნელოვანი ხელშეწყობაა მათთვის. აქვე უნდა ვთქვათ, რომ სამწუხაროდ არიან მუნიციპალიტეტები, რომელთაც ჯერჯერობით არ ყავთ დამეგობრებული პარტნიორები და ეს საკითხი მომავალ წელს საბოლოოდ გადაწყდება.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს. 2016 წლის იანვარში, გუბერნატორის მოადგილე იოსებ ხახალიძევილი სამუშაო ვიზიტით, ერთი თვით მიემგზავრება ბრიუსელში, სადაც კიუავსკო-პომორსკის სავოევოდოს ოფისში ადგილობრივ თანამშრომლებთან ერთად იმუშავებს სამომავლო ერთობლივი პროექტების მომზადებასა და დაფინანსების წყაროების მოძიებაზე. ვიზიტის დროს ასევე დაგეგმილია შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნის რეგიონების წარმომადგენლებთან ბრიუსელში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ინსტიტუტებთან. ერთ-ერთ მიზანს ასევე წარმოადგენს შეხვედრა ევროპის რეგიონთა ასამბლეის ხელმძღვანელებთან, აღნიშნულ ორგანიზაციაში იმერეთის წევრობის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით. ვიზალიბერალიზაციის პროცესის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ, რეგიონების გაწევრიანება და ჩართულობა ევროპულ ორგანიზაციებში კიდევ უფრო გააძლიერებს და აამაღლებს ჩვენი ქვეყნის იმიჯს და ავტორიტეტს. სამუშაო ვიზიტი ბრიუსელში დაფინანსებული პოლონური მხარის მიერ.

თებერვლის ბოლოს იმერეთში ვიზიტით იქნება კიუავსკო-პომორსკის სავოევოდოს დელეგაცია მარშალისა და პოლონეთის განვითარების მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით.

ივნის-ივლისში, ისევე როგორც შარშან, დაგეგმილია ქართველი და პოლონელი ახალგაზრდების გაცვლითი ვიზიტები. 40 ახალგაზრდა იმერეთიდან 2 კვირის განმავლობაში ესტუმრება პოლონეთს, ოცამდე პოლონელ ახალგაზრდას ველოდებით იმერეთში.

ასევე მიღწეული წინასწარი შეთანხმება კულტურული კოლექტივების ვიზიტების შესახებ. იმერეთის თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს ტორუნის მუსიკალური თეატრის დასი, ხოლო ქუთაისის ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი კონცერტებს გამართავს ტორუნის ახლადგახსნილ საკონცერტო დარბაზში.

მომავალი წლის აგვისტოში დაგეგმილია ლატვიის ადგილობრივ თვითმმართველობათა აღმასრულებელი დირექტორების ასოციაციის ვიზიტი იმერეთში. ვიზიტის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით ერთობლივი შეხვედრების ორგანიზება. ასევე დაგეგმილია თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება.

აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა საქართველოს საელჩოსთან შვეიცარიის კონფედერაციაში. ფრიბურგის კანტონის ხელმძღვანელობამ საელჩოს წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს, გამოთქვა სურვილი იმერეთის მხარესთან თანამშრომლობის შესახებ. ასევე არის ფრიბურგის უნივერსიტეტის დაინტერესება წერეთლის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის შესახებ. აღნიშნულიდან

გამომდინარე 2016 წლის მარტი-აპრილის თვეში დაგეგმილია იმერეთის დელეგაციის ვიზიტი შვეიცარიაში.

წყალტუბოსა და პოლაცკის (ბელორუსი) მუნიციპალიტეტებს შორის არსებულმა ქარმატებულმა ურთიერთობამ ინიცირება მისცა იმერეთსა და ვიტებსკის (ბელორუსი) ოლქს შორის ურთიერთობების დაწყებას. მომავალ წელს იგეგმება გაცვლითი ვიზიტების მოწყობა საქართველოსა და ბელორუსში.

ეს არის ის აქტივობები რომლებიც უკვე ჩასმულია მომავალი წლის სამუშაო გეგმაში. ზოგადად სამხარეო ადმინისტრაცია კვლავაც აპირებს ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტების გაძლიერებას საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით. სწორედ ამ მიზნით სამხარეო ადმინისტრაციის ხელშეწყობით მომავალი წლისათვის იგეგმება რამოდენიმე ახალი თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება მუნიციპალიტეტების მიერ. დარწმუნებული ვართ, რომ ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერითა და ერთობლივი ძალისხმევით კიდევ უფრო გავაძლიერებთ რეგიონების ჩართულობას საერთაშორისო ურთიერთობებში, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ხელისუფლების და ზოგადად ქვეყნის კიდევ უფრო მაღალ დონეზე წარმოჩენას.

ფოტოკოლაჟი



იმერეთის მუნიციპალიტეტების გამგებლების ვიზიტი ქალაქ ტორუნში



სიტყვით გამოსვლა კიუავესკო-პომორსკის საგოევიდოს პარლამენტში



ახალგაზრდების ვიზიტი პოლონეთში




ვიზიტი ბრიუსელში



ანსამბლ "ქართული ხმები"-ს კონცერტი კოპერნიკის უნივერსიტეტში



სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ვიზიტი ტორუნში



ქუთაისში ჰუაღინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გახსნის ცერემონია



იმერეთის მხარის დელეგაციის ვიზიტი ლატვიაში



ბავშვთა ანსამბლ "არაბესკი"-ს ვიზიტი იმერეთში